თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-13-54825-23
06 / 09 / 2023

შპს ,,კრისტალ ბილდინგი“-ს დირექტორს
ვანო ლომიძეს

ბატონო ვანო,

თქვენი მიმდინარე წლის 24 აგვისტოს №01-13-54825-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.13.045.216) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან და გენგეგმის დამოწმებასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ საკადასტრო ერთეულზე გადის საჰაერო D=40 მმ-იანი დაბალი წნევის და D=100 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენები, ხოლო მიჯნაზე ფიქსირდება ასევე საჰაერო D=50 მმ-იანი და D=125 მმ-იანი საშუალო წნევის მილსადენები. კომპანია შეითანხმებს სამშენებლო სამუშაოებს თქვენი მხრიდან შემდეგი მოთხოვნის შესრულების შემდგომ:

- აუცილებელია ნაკვეთზე არსებული საჰაერო D=100 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენის გადატანა/მარშრუტის ცვლილება.

შპს „თბილისი ენერჯის“ მიერ დადგინდა საპროექტო ღირებულება, რომელიც შეადგენს **300 (სამასი)** ლარს. სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება დადგინდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, შპს „თბილისი ენერჯი“ ქსელის გადალაგების სამუშაოებს ასრულებს მიწის ქვეშ და შესაბამისად, მილსადენი უნდა განთავსდეს მიწაში.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებისას უპირობოდ უნდა იყოს დაცული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის #1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“, ასევე სამშენებლო ნორმები და წესები (2.04.08-87*-გაზმომარაგება).

თქვენს მიერ საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების და საჭიროებისამებრ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან თქვენი მხრიდან სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების მოპოვების შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები.

ხელშეკრულების გასაფორმებლად ეწვიეთ კომპანიის ვებ-გვერდს www.te.ge, შევსებული ფორმა გადმოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე public@te.ge. შეთავაზება ძალაშია 3 (სამი) თვე.

დამატებით ვაფიქსირებთ, რომ საჰაერო D=40 მმ-იანი დაბალი წნევის მილსადენის დემონტაჟი/დროებით გაუქმება შესაძლებელია მრიცხველის მესაკუთრის (აბონენტის) განცხადებით მომართვის შემთხვევაში.

აქვე გაცნობებთ, რომ გაზსადენის რეკონსტრუქციის შემდგომ, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე თქვენი მხრიდან გასათვალისწინებელი პირობაა: საჰაერო D=40 მმ-იანი დაბალი წნევის, D=50 მმ-იანი და D=125 მმ-იანი საშუალო წნევის მილსადენებთან მიმართებაში აუცილებელია დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ შეიზღუდოს ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მათი მომსახურების შესაძლებლობა.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:800
D= 90 PE
D= 300
D= 25
D= 50
D= 40
D= 125
D= 100
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.13.045.216
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

სილქნეტი
SILKNET

№ 6146/24-8 „13" 11 2023

შპს „დემაქს ბოჟორმა"-ს დირექტორს
ბატონ გიორგი მერაბიშვილს
ქ. თბილისი, ა. აფაქიძის 11
ტელ: 514111114

ბატონო გიორგი,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-10276; 8/11/2023წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. #23-ში, მიწის ნაკვეთის ს. კოდით 01.17.13.045.216 მიმდებარედ გადის სს „სილქნეტის" მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. სს „სილქნეტი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის" კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის" წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

№0623-0844329 D 12.09.2023

შპს „კრისტალ ბილდინგი“
ელ-ფოსტა: info@crystalbuilding.ge
ტელეფონი: 558 58 42 42

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN23-0837114; თარიღი 24/08/2023წ). რომლითაც მოთხოვნილი იყო ბოჭორმის ქ. #23-ში, ს/კ 01.17.13.045.216 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქსელის გადატანის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან, იმ პირობით, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

ისანი-სამგორის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი ლევან ქურდიანი. ტელ: 591 05 15 25.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ლ. გაგნიძე; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (21-02); (11-27)


6500
3075
1275
5200
7700
5375
5975
4400
6600
7750
25000
6250
6700
6700
6700
6700
6700
6700
6700
6700
4900
ლეგენდა
საპროექტო ობიექტის საზღვარი
ნაგებობის ფერდობის ქანობი
ნაგებობის ფერდობის ქანობი
ნაგებობის ფერდობის ქანობ

LLC CRYSTAL BUILDING

Address: №23d bochorma st, 0144, Tbilisi. Georgia.
Tel: +995 558 58 42 42
Email: info@crystalbuilding.ge

შპს „კრისტალ ბილდინგი“

მის: საქართველო ქ. თბილისი ბოჭორმის ქ. №23დ
ტელ: +995 558 58 42 42
ელ. ფოსტა: info@crystalbuilding.ge

2023 წლის 24 აგვისტო

N03/08/23

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“

განცხადება

შპს „კრისტალ ბილდინგის“ საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. #23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.13.045.216) იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად ამჟამად მიმდინარეობს არქიტექტურული პროექტის შეთანხმება ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 ივლისის #6590883 გადაწყვეტილებით დაგვევალა მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მიერ გაცემული წერილობითი თანხმობის წარდგენა დაგეგმილი სამუშაოების თაობაზე და ასევე გრაფიკულად დამოწმებული საპროექტო გენგეგმის წარდგენა.

შესაბამისად, გთხოვ, მოგვცეთ წერილობითი თანხმობა ბოჭორმის ქ. #23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.13.045.216) ქსელის გადატანის შესახებ წარმოდგენილი გენგეგმის მიხედვით და ასევე შესაბამისი წესით დაგვიმოწმოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო გენგეგმა. აქვე მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 1 აპრილს თქვენს და ჩვენს კომპანიას შორის უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება ქსელის გადატანის შესახებ შეთანხმებული გენგეგმის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც მომზადდა ქსელის გადატანის პროექტი, რის ღირებულებაც გადახდილი აქვს კომპანიას. აღნიშნულ დოკუმენტაციას გიგზავნით დანართის სახით. ასევე გიგზავნით გრგ-ს ეტაპზე თქვენს მიერ გაცემულ თანხმობას და შესაბამისად დამოწმებულ გენგეგმას.

შპს „კრისტალ ბილდინგი“-ს
გენერალური დირექტორი

ვანო ლომიძე

პროექტი

მრავალფუნქციური კომპლექსი ისანში

საქართველო.თბილისი. ბოჭორმის ქ.23
ს/კ 01.17.13.045.099
01.17.13.045.038
01.17.13.045.100

დამკვეთი

შ.პ.ს "კრისტალბილდინგი"

საქართველო.თბილისი. ბოჭორმის ქ.23



ლეგენდა

- სამშენებლო არეალი
- შაკანა ეზო
- სამეზობლომიჯნის ზონა

საპროექტო ორგანიზაცია

ლენდმარკ პროჯექტი

ვაჟა-ფშაველას II კვარტალი
№11ბ.6283.თბილისი.საქართველო

არქიტექტორი

ე. კანკავა

ნახაზი

გენ.გეგმა

მასშტაბი

1:250

ფურცელი

A-030

ფორმატი A1

№ 06/21-0502010 D 05 04 2024

შპს „კრისტალ ბილდინგი“
მისამართი: ბოჭორმის ქ. N23
ელ-ფოსტა: info@crystalbuilding.ge
ტელეფონი: 558 58 42 42; 579 95 95 93

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN21-0500336, დათარიღებული 31/03/2021წ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.13.045.038) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

მშენებლობის ნებართვის გაცემის აუცილებელ წინა-პირობას წარმოადგენს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

ისანი-სამგორის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი ლევან გაგნიძე. ტელ: 591 70 75 06.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; გ. მურღულია
ელ-ფოსტა: jchachkhalia@gwp.ge; gmurgulia@gwp.ge



gwp
შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერი"
ტექნიკური კომისია
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
რიგ. № 0500336 "01" 04 2025
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნეს
GWP-ს წარმომადგენელი. ტელ: 293 11 11

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი "01" - აპრილი - 2021 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ "ახალი მომხმარებელი" შპს „კრისტალ ბილდინგი“ საიდენტიფიკაციო კოდი 406163431 აღმასრულებელი დირექტორი ბექა ლომიძე და მეორეს მხრივ შ.პ.ს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს კომერციული დირექტორი გიორგი სვანიშვილი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ კომპანიამ მხარეებს შორის 2021 წლის 01 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მოამზადა, ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბოჭორმის ქუჩა #23-ში „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ს/კ 01.17.13.045.038 და ს/კ 01.17.13.045.099 გამავალი წყალარინების D=700 მმ-იანი ქსელის გადატანის (გადალაგების) საპროექტო დოკუმენტაცია ღირებულებით 10351.3 (ათიათასსამასორმოცდათერთმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარი.

აღნიშნული თანხა მითითებულია დღგს ჩათვლით.

"კომპანია"

შ.პ.ს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

გიორგი სვანიშვილი

"ახალი მომხმარებელი"

შპს „კრისტალ ბილდინგი"

ბექა ლომიძე

მომსახურების ხელშეკრულება

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში **„ხელშეკრულება“**) გაფორმებულია ქ. თბილისში, 2021 წლის___ აპრილს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **შპს „კრისტალ ბილდინგი“** საიდენტიფიკაციო კოდი 406163431 (შემდგომში **„დამკვეთი“**), აღმასრულებელი დირექტორის ბექა ლომიძის მიერ;

და

მეორე მხრივ, **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“**, საიდენტიფიკაციო კოდი 203826002 (შემდგომში **„შემსრულებელი“**), წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის გიორგი სვანიშვილის მიერ;

შემდგომში „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ ერთობლივად ხსენებული, როგორც **„მხარეები“**, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც **„მხარე“**.

1. „ხელშეკრულების“ საგანი

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ 1.2. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურება“. „დამკვეთი“ თანახმაა, მიღებული „მომსახურების“ სანაცვლოდ, გადაუხადოს „შემსრულებელს“ შეთანხმებული ანაზღაურება.

1.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე გასაწევი მომსახურება (შემდგომში **„მომსახურება“**) გულისხმობს „შემსრულებლის“ მიერ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბოჭორმის ქუჩა #23-ში „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ს/კ 01.17.13.045.038 და ს/კ 01.17.13.045.099 გამავალი წყალარინების D=700 მმ-იანი ქსელის გადატანას (გადალაგებას) სრული ტექნოლოგიური ციკლით წინასწარ შეთანხმებული გეწგეგმის შესაბამისად (დანართი 1).

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ ღირებულება შეადგენს 182873.1 (ასოთხმოცდაორიათასრვაასსამოცდაცამეტი ლარი და ათი თეთრი) ლარს (შემდგომში **„მომსახურების ღირებულება“**), სადაც წყალარინების ქსელის გადატანის პროექტის ღირებულება შეადგენს 10351.3 (ათიათასსამასორმოცდათერთმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარს, ხოლო წყალარინების ქსელის გადატანის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 172521.8 (ასსამოცდათორმეტიათასხუთასოცდაერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს. თანხები მითითებულია დღგ-ის ჩათვლით. **„დამკვეთი“** პროექტის საფასურს 10351.3 (ათიათასსამასორმოცდათერთმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარს იხდის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო სამუშაოების დაწყებამდე იხდის მთლიანი თანხას სრულად 172521.8 (ასსამოცდათორმეტიათასხუთასოცდაერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

2.2. დამკვეთმა წინასწარი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე ქსელის გადატანის პროექტის საფასური გადაიხადა 12 420 ლარი (თორმეტიათას ოთხასოცი და 00 თეთრი).
სხვაობა ჩაითვალოს ქსელის გადატანის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებაში.
ასევე ხელშეკრულებას დანართი #2-ის სახით დაერთოს ქსელის გადატანის პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

2.3. „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ „მომსახურების ღირებულებას“ გადაუხდის 3.2.1 პუნქტში გათვალისწინებული პირობების დადგომისას „მომსახურების საფასურის“ გადარიცხვის გზით შემდეგ საბანკო ანგარიშზე:
მიმღები: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. #GE80BG0000000277331100

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „შემსრულებელი“ უფლებამოსილია:
3.1.1 „მომსახურება“ გაწიოს პირადად ან ქვეკონტრაქტორის დახმარებით და ამისთვის ის არ საჭიროებს „დამკვეთის“ დამატებით თანხმობას ან წინასწარ შეტყობინებას;

3.1.2 მოსთხოვოს „დამკვეთს“ „მომსახურების საფასურის“ გადახდა წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად;

3.1.3 „მომსახურების“ დასრულების შემდეგ მოსთხოვოს „დამკვეთს“ „მომსახურების“ მიღება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.2 „შემსრულებელი“ ვალდებულია:

3.2.1 „მომსახურების“ გაწევა დაიწყოს “დამკვეთის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ სრულად გადახდის შემდგომ იმ პირობით, რომ „დამკვეთი“ შემდგომში „შემსრულებელს“ სამუშაოების დაწყებამდე მომართავს „ქსელის გადატანის მოთხოვნის“ შესაბამისი განაცხადით და დაურთავს სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების საფასურს 172521.8 (ასსამოცდათორმეტიათასხუთასოცდაერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. „დამკვეთი“ საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი შეთანხმებით უზრუნველყოს „მომსახურების“ გაწევისთვის აუცილებელი ყველა პირობით და „შემსრულებელის“ წარმომადგენლებს ექნებათ სრული და შეუფერხებელი დაშვება „დამკვეთის“ ტერიტორიაზე;

3.2.2 „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურება“ გასწიოს კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, სრულად და ყველა სტანდარტის შესაბამისად დათქმულ ვადაში, დარღვევის არსებობის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მოახდინოს შესრულებული სამუშაოს კორექტირება მოთხოვნილ სტანდარტამდე და ხარისხამდე.

3.3 „დამკვეთი“ უფლებამოსილია:
3.3.1 მოსთხოვოს „შემსრულებელს“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ შესრულება კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, სრულად და დათქმულ ვადაში.

3.4 „დამკვეთი“ ვალდებულია:
3.4.1 საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს „შემსრულებელი“ „მომსახურების“ გაწევისთვის აუცილებელი ყველა პირობით და „შემსრულებელის“ წარმომადგენლებს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მისცეს სრული და შეუფერხებელი დაშვება მის ტერიტორიაზე;

3.4.2 „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესის შესაბამისად, შეთანხმებულ ვადაში სრულად გადაიხადოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების საფასური“;

3.4.3 მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს „შემსრულებელს“ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი;
3.4.4 იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოსაწერად წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ არ დაუბრუნებს ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს ან მოტივირებულ უარს „მომსახურების“ მიღებაზე, იგულისხმება, რომ „დამკვეთმა“ მიიღო „შემსრულებლის“ მიერ გაწეული მომსახურება.

4. განსაკუთრებული პირობები

4.1 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „შემსრულებლის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ გაწევის დროს შექმნილი/დამონტაჟებული ნებისმიერი და ყველა მატერიალური და არამატერიალური ქონება წარმოადგენს „შემსრულებლის“ საკუთრებას და „დამკვეთს“ უფლება არ აქვს განაცხადოს რაიმე პრეტენზია მათზე. ხოლო, თუ ასეთი ქონება ექვემდებარება რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, „შემსრულებელს“ უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს მას აღნიშნული ქონების რეგისტრაციის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებელს“ რეგისტრაციის პროცესში დაჭირდება რაიმე დამატებითი თანხმობა ან/და ცნობა „დამკვეთისგან“, „დამკვეთი“ ვალდებულია, რომ დაუყოვნებლივ მიაწოდოს „შემსრულებელს“ ყველა ასეთი დოკუმენტი.

4.2 საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიუხედავად, „შემსრულებლის“ კუთვნილ ქონებაზე შემდგომში ნებისმიერი ახალი მომხმარებლის დაერთების მოთხოვნის შემთხვევაში, „შემსრულებელი”, როგორც ამ ქონების მესაკუთრე, იმოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კერძოდ, თითოეულ ასეთ მოთხოვნას განიხილავს, როგორც ახალ მიერთებას და დაარეგულირებს სემეკის 2008 წლის 26 ნოემბრის N32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად, „დამკვეთის“ მხრიდან დაერთებაზე რაიმე თანხმობის ან ნებართვის საჭიროების გარეშე.

5. ფორს-მაჟორი

5.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს–მაჟორული ვითარებით (შემდგომში „ფორსმაჟორული ვითარება“).

5.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის „ფორს–მაჟორული ვითარება“, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: ომს, ამბოხებას, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, ქარიშხალს, წყალდიდობას ან სხვა სტიქიურ უბედურებებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების სხვა ქმედებასა და უმოქმედობას, რომელიც „მხარეთა“ გონივრული კონტროლის ფარგლებს სცილდება და რომლის დადგომაც წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის.

5.3 „მხარე“, რომელსაც „ფორსმაჟორული ვითარება“ შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე „მხარეს“ ამგვარი „ფორს–მაჟორული ვითარების“ თაობაზე, „ფორს–მაჟორული ვითარების“ ხასიათის და მისი შედეგების სათანადო აღწერით.

5.4 „ფორს–მაჟორული ვითარების“ დადგომის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ამგვარი „ფორსმაჟორული ვითარების“ დამთავრებამდე/აღმოფხვრამდე.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ „ფორს–მაჟორული ვითარება“ გასტანს ზედიზედ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს მეორე „მხარისათვის“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

მუხლი 6. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს „მხარეთა“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე. თუ „დამკვეთის“ მიერ 2021 წლის 1 დეკემბრამდე არ იქნება შესრულებული ხელშეკრულების 3.2.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობები, „შემსრულებელი“ უფლებას იტოვებს არსებული ხარჯთაღრიცხვის გადახედვის, მოქმედი კვარტალური ფასებით გადაანგარიშების და მომსახურების ღირებულებაზე მხარეებს შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების შემდეგ -სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესრულების.

6.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია:

(ა) ერთ-ერთი „მხარის“ მიერ, თუ მეორე „მხარე“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას ან პირობას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას;

(ბ) „შემსრულებლის“ მიერ ნებისმიერ დროს, „დამკვეთისთვის“ სულ ცოტა 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით; ან

(გ) „მხარეთა“ ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

6.3 თუ, „ხელშეკრულება“ “დამკვეთმა“ მაშინ შეწყვიტა, როდესაც „შემსრულებელს“ უკვე დაწყებული ქონდა სამუშაოები, “დამკვეთმა“ უნდა აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ ფაქტობრივად გაწეული „მომსახურების“ და მასთან დაკავშირებული ხარჯები და „ხელშეკრულების“ შეწყვეტით მიყენებული ზიანი.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაჭრის წესი

7.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 „მხარეთა“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ან მის საფუძველზე წარმოშობილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. თუ „მხარეები“ მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავის გადასაწყვეტად „მხარეები“ მიმართავენ საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.

მუხლი 8. სხვადასხვა დებულებები

8.1 „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ქმედუნარიანი ძალის მქონედ მიიჩნევა, თუკი ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე „მხარის“ მიერ.

8.2 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის მის საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.

8.3 წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

8.4 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

8.5 წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემა „მხარეებს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

„დამკვეთი“
შპს „კრისტალ ბილდინგი“

ბექა ლომიძე
აღმასრულებელი დირექტორი

„შემსრულებელი“
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

ისანი-სამგორის რაიონი, ბოჭორმის ქ. №23, ნაკ.01.17.13.045.099-ის და ნაკ.01.17.13.045.038-ის წითელ ხაზებში კანალიზაციის ქსელის გადატანა 21-0489612

შედგენილია საბაზისო ნორმებით, მიმდინარე ფასებში 2021 წლის I კვარტლის დონეზე

N	ხარჯთაღიცხვის N	ხარჯთაღიცხვის დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი)				
			სამშენებლო სამუშაოები	სამონტაჟო სამუშაოები	მოწყობა ლობა	სხვადასხვა ხარჯები	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
1	ხარჯთაღრიცხვა N1-1	კანალიზაციის ქსელის გადატანა	141,748.7				141,748.7
		სულ	**141,748.7**				**141,748.7**
		გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%				4,252.5	4,252.5
		ჯამი	**141,748.7**			**4,252.5**	**146,001.1**
		დაგროვილი საპენსიო გადასახადი (ხელფასიდან) 2%				203.8	203.8
		სულ	**141,748.7**			**4,456.2**	**146,204.9**
		დ.ღ.გ. 18%				26,316.9	26,316.9
		სულ ხარჯთაღიცხვით	**141,748.7**			**30,773.1**	**172,521.8**

სააბონენტო და საავარიო საპროექტო სამსახურის უფროსი — მ. ნაცვლიშვილი

შეადგინა — მ. შალუტაშვილი


მრავალფუნქციური კომპ
პირობითი აღნიშვნები
საკოორდინატო ბადე
საპროექტო ტერიტორია
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
სერვიტუტი
ტრანსფორმატორისთვის გამოყოფილი ნაკვეთი
საავტომობილო
საპროექტო შენობა
მიმდებარე ნაკვეთებზე არსებული შენობები
გამწვანებული ტერიტორია
გამწვანებული ტერიტორია (რეკრეაციული ზონა)
421.48
420.40
±0.000
420.50
2 სართული
ჯამში 20 სართული
700მმ.
წყალარინების გადა
შემოთავაზებული ახ
ლოკაცია
არსებული წყალარ
მილის (700 მმ) ლო
დღეის მდგომარეო
417.62
417.90
419.50
419.93
419.28
gwp
ტექნიკური კომისია
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
№ 0500336 01 04 2021
GWP-ს წარმომადგენელი ტელ: 293 11 11

საგადახდო დავალება
Payment Order

1614855605 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 04/03/2021

გადამხდელი / Sender

შპს კრისტალ ბილდინგი, 406163431

რეფერენსი / Ref. Num.

4572282632

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE31TB7744136050100001

თანხა / Amount

12,420.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank: სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თორმეტი ათას ოთხას ოცი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: შპს კრისტალ ბილდინგი, 406163431

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 406163431

მიმღები / Receiver

შპს ჯორჯიანუოთერ ენდ ფაუერი

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code: GE80BG0000000277331100

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი / Bank Code: BAGAGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

04/03/2021

გადახდის დანიშნულება / Operation Details

წყალარინების ქსელის გადატანის პროექტის საორიენტაციო ღირებულება

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ხელმოწერა
Signature

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.